# ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება N

--- ---- 2017 წელი

### მუნიციპალიტეტისგამგეობის ბალანსიდან ჩამოწერის, დემონტაჟისა და დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების (მარაგების)განკარგვის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს2015 წლის 31 აგვისტოს №31 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ბალანსიდან ქონების ჩამოწერის წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 აგვისტოს №31 დადგენილებით დამტკიცებულიჩოხატაურისმუნიციპალიტეტისსაკუთრებაშიარსებული, ჩოხატაურისმუნიციპალიტეტისგამგეობისბალნსზერიცხულიშენობა-ნაგებობებისდემონტაჟისანლიკვიდაციისშედეგადმიღებულიანდემონტაჟისშედეგადმისაღებივარგისინაწილებისადამასალებისმუნიციპალიტეტისმიერაღნიშნულიშენობა-ნაგებობებისდემონტაჟისანლიკვიდაციისხარჯებისმთლიანადანნაწილობრივდაფარვისმიზნითგასხვისებისანსხვანებისმიერისახითგანკარგვისწესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის **საკრებულო ადგენს:**

**მუხლი 1.**მიეცეს თანხმობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს, სოფელ ერკეთში მდებარე შენობა- ნაგებობის (ყოფილი აბანო) (ს/კ- 28.12.22.219)და სოფელ ბუკისციხეში მდებარე საბავშვო ბაღის შენობა- ნაგებობის (ს/კ 28.13.22.039) გამგეობის ბალანსიდან ჩამოწერის, დემონტაჟისა და დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების (მარაგების) განკარგვის თაობაზე.

**მუხლი 2.**განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.

**მუხლი 3.** განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტი მოამზადა: მალხაზ ჩხიკვაძე